მაჩუ-პიქჩუ – „ქალაქი ღრუბლებში“

გსმენია რამე უცნაურ ქალაქზე, რომელიც ძალიან მაღლა არის აშენებული? წაიკითხე ტექსტი ერთ-ერთი ასეთი ქალაქის შესახებ.

ქალაქი მაჩუ-პიქჩუ პერუს მაღალ მთებში მდებარეობს. პერუ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზეა. ეს ქალაქი მე-20 საუკუნეში **აღმოაჩინეს**.

ინკებმა მაჩუ-პიქჩუ იმპერატორს აუშენეს. ქალაქში 200-ამდე ნაგებობა დგას. თუმცა დიდი ხანია იქ აღარავინ ცხოვრობს. აშენებიდან 100 წლის შემდეგ ინკებმა ქალაქი მიატოვეს. ამის ზუსტი მიზეზი დღემდე არ იციან.

მაჩუ-პიქჩუ 32 წელიწადს შენდებოდა. ასობით მამაკაცს შორიდან ზურგით მოჰქონდა ლოდები. ლოდებს ერთმანეთზე აწყობდნენ. ასე აგებული შენობები დღესაც კი უძლებს ძლიერ მიწისძვრას.

გზა მაჩუ-პიქჩუმდე რთული და **სახიფათოა**. მისი გავლა რომ შეძლო, ძალიან ძლიერი უნდა იყო. მიუხედავად ამისა, უამრავი ტურისტი დიდი ინტერესით სტუმრობს მას.

შენი აზრით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რითაც ქალაქი მოსწონთ ტურისტებს?

დონე: *A გარდამავალი,* **კომპონენტი:** *შეგვიძლია*

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რატომ ამბობენ მაჩუ-პიქჩუზე, რომ ის „ქალაქია ღრუბლებში“?

ა) ქალაქი მე-20 საუკუნეში აღმოაჩინეს.

ბ) ქალაქი მიწისძვრამ ვერ დაანგრია.

გ) ქალაქი მაღალ მთებშია აშენებული.

2 რა მიზნით აშენდა ქალაქი?

ა) ინკების იმპერატორის საცხოვრებლად.

ბ) მიწისძვრისაგან ხალხის დასაცავად.

გ) უამრავი ტურისტის გასაოცებლად.

3 რითი იყვნენ გამორჩეული ინკი მშენებლები?

ა) მშენებლობას დიდ დროს უთმობდნენ.

ბ) შენობების ასაგებად მხოლოდ ქვებს იყენებდნენ.

გ) შენობებს ძალიან სწრაფად აგებდნენ.

4 რა <u>არ არის</u> ცნობილი ქალაქის შესახებ?

ა) როგორ მოჰონდათ ინკებს მასალა მშენებლობისთვის.

ბ) რამდენი წელი დასჭირდა ქალაქის მშენებლობას.

გ) რატომ დატოვა ხალხმა ქალაქი მოულოდნელად.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ქალაქი მე-20 საუკუნეში **აღმოაჩინეს**.

   ა) ააშენეს. ბ) იპოვეს. გ) დატოვეს.

2. ქალაქამდე ასასვლელი გზა **სახიფათოა.**

   ა) საინტერესოა. ბ) სასიამოვნოა. გ) საშიშია.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) მაგარი – ძლიერი. ბ) მაღალი – დაბალი. გ) რთული – ძნელი.

▶▶▶ გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. ---------- ქალაქი მიატოვეს.

   ა) ინკები. ბ) ინკებმა. გ) ინკებს.

2. ---------- ერთმანეთზე აწყობდნენ.

   ა) ლოდები. ბ) ლოდებმა. გ) ლოდებს.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.

1. ქალაქის მიტოვების მიზეზი არავინ ----------. ***(იციან/იცის)***
2. ასობით მამაკაცი ---------- ლოდებს. ***(ეზიდებოდნენ/ეზიდებოდა)***

3 დაწერე შემოკლებით ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: მეოცე – მე-20.

1. მეორასე – ----------. 2. მეოთხასე – ----------.

გრამატიკა

4 დაასრულე სიტყვა.

მამაკაცები ლოდებს ერთმანეთზე **აწყობდ...**.

წერა

1 დაწერე ტექსტი „მაჩუ-პიქჩუ“. ამისათვის გამოიყენე მხოლოდ ტექსტის გააზრებისთვის დასმული კითხვები და შენი პასუხები.

მაგალითად, დაიწყე ასე:

ამბობენ, მაჩუ-პიქჩუ „ქალაქია ღრუბლებში“, რადგან იგი ——————————

—————————————— (წინადადება დაასრულე სწორი პასუხის მიხედვით).

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

2 დაწერე შენი აზრი, რა შეიძლება ყოფილიყო მაჩუ-პიქჩუს მიტოვების მიზეზი.

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————